



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მოხისი

მოხისი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქარელის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ-ებს – დასავლეთის ფრონესა და სურამულას შორის. ზ. დ. 680 მ, აღმ. ერთეულის ცენტრი (სოფლები: **მ.**, ზემო შაქშაქეთი, კოდავარდისუბანი). ქარელიდან 21 კმ, 1296 მცხ. (2014). **მ**-ის ტერიტორია ადრე ფეოდალური ხანიდან ყოფილა დასახლებული. სოფელზე გადადიოდა მნიშვნელოვანი გზა (შიდა ქართლიდან – გორი-რუისი-სალოლაშენი-არადეთი-**მ**.-ვაყა-ბორჯომის ხეობა).

**მ**. არქეოლოგიურად შეუსწავლელია. სოფლიდან 1,5 კმ-ზე, ადგილ-ნაომრების ფერდაზე, აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეების სამაროვანი. გაითხარა ერთი დაზიანებული ქვაყუთი. **მ**. წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება 1392 მცხეთის საეკლ. მამულების სიაში. **მ**-თან დაკავშირებულია რამდენიმე ბრძოლა – იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ 1512 აქ დაამარცხა თავისი ძმა ვახტანგი, ხოლო 1520 მამია გურიელმა – ქართლის მეფე დავით X. 1785 **მ**-თან ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ლაშქარმა უკუაგდო თურქ-ლევკთა მოთარეშე რაზმები. XVII-XVIII სს-ში **მ**. მცხეთის საპატრიარქოს კუთვნილება იყო. იგი შედიოდა ზემო ქართლის სადროშოში, რ-საც ამილახვრები სარდლობდნენ.

**მ**-ის სამხრ.-დას. ნაწილში დგას აგურითა და ფლეთილი ქვით ნაგები წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (15 მ X 9 მ), რ-საც სამხრ-ითა და დას-ით თაღოვანი შესასვლელები აქვს. სწორკუთხოვანი საკურთხევლის წინ არის მოხატული კანკელი, აღმ. კედელში – სარკმელია, ხოლო გვერდით კედლებში – თაღოვანი ნიშები. ეკლესიის აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ ჩასმულ ქვაზე, ამოკვეთილია შვიდსტრიქონიანი მხედრული წარწერა და ქვის ჯვრის რელიეფური გამოსახულება. სამხრ-იდან მიშენებული აქვს კარიბჭე, დას-იდან – 1811 აგებული გუმბათოვანი კამარით გადახურული ორსართულიანი სამრეკლო. იქვე

დგას XVII ს. რიყის ქვით ნაგები ორსართულიანი კოშკი. ორივე სართული გადახურულია კამარებით. ნაგებობა დაზიანებულია. კოშკსა და ეკლესიას გარს უვლის გალავანი.

წყარო: ბატონიშვილი დავით, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941; ბაგრატიონი თეიმურაზ, ახალი ისტორია, თბ., 1983; ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1962; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ. ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, 1989; [ტ.] 7, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, ნ. 1, თბ., 1964; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

---